

თეა ჭანტურია,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორი
სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი
ალექსანდრე ვახტანგოვი

რეზიუმე

ნაშრომის საკვლევი თემაა „ციფრული ტექნოლოგია, როგორც კულტურის ფორმა“, რომელიც შეისწავლის ციფრული ტექნოლოგიის და კულტურის კვეთას, ასევე, დიגיტალური ტექნოლოგიების მზარდ გავრცელებას და მათ გავლენას ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე. კვლევის მიზანია, გავაღრმავოთ ჩვენი გაგება ციფრული ტექნოლოგიებისა და კულტურის კომპლექსური ურთიერთობის შესახებ. აქტუალობის თვალსაზრისით წარმოგიდგინთ რამდენიმე ასპექტს. საყოველთაო გავლენაა ის, რომ ციფრული ტექნოლოგია გახდა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. გაჯეტები, სოციალური ქსელები, აპლიკაციები და ასე შემდეგ შეიძლება, კომუნიკაციის ინსტრუმენტებად მივიჩნიოთ. ციფრული საკომუნიკაციო პლატფორმების განვითარებამ გავლენა მოახდინა სოციალურ ქცევასა და კულტურულ ნორმებზე, იმოქმედა კულტურულ მრავალფეროვნებაზე, იდენტობის ფორმირებასა და იდეების გავრცელებაზე. გარდა ამისა, ციფრულმა ტექნოლოგიამ დააჩქარა ინფორმაციის გავრცელება. თუმცა, ამას როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები აქვს, სასწრაფო რეაგირების ხელშეწყობიდან დეზინფორმაციის პოტენციურ გავრცელებამდე. ამასთან, ინტერნეტმა, ციფრულმა კომუნიკაციამ უზრუნველყო უპრეცედენტო გლობალური კავშირი. საკითხებს შორისაა ციფრული განათლება – ციფრულ ეპოქაში ინფორმაციის ადეკვატური ნავიგაცია და ინტერპრეტაცია მეტად მნიშვნელოვანია. ეფექტური პროგრამები საშუალებას მისცემს ადამიანებს, მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილებები.

საკვლევი თემა ასოცირებულია რამდენიმე პოტენციურ პრობლემასთან: ციფრული განხეთქილება, კონფიდენციალურობა/უსაფრთხოება, დეზინფორმაცია, ციფრული დამოკიდებულება, პირისპირი კომუნიკაციის ეროზია, ეთიკური დილემები, გარემოზე

ზემოქმედება და ასე შემდეგ. დასკვნის სახით დგინდება, რომ ციფრული ტექნოლოგიები გავლენას ახდენს პირადი და პროფესიული ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე, აყალიბებს კულტურას, საზოგადოებას და ურთიერთობებს.

ციფრული ტექნოლოგია როგორც კულტურის ფორმა

საკვანძო სიტყვები: დიגיტალიზაცია, ტექნოლოგია, კულტურა, ციფრული კომუნიკაციის საშუალებები

ციფრული ტექნოლოგიების, როგორც კულტურის ფორმის, შესწავლისას უნდა დავფიქრდეთ კავშირების რთულ ქსელზე, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიას და კულტურას და ახდენს ღრმა გავლენას კაცობრიობის აწმყოსა და მომავალზე.

XXI საუკუნის სწრაფად განვითარებად და ცვალებად ლანდშაფტზე, ციფრული ტექნოლოგია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. თავისი უტილიტარული ფუნქციების გარდა, ციფრულმა ტექნოლოგიამ გამოიწვია ფუნდამენტური ცვლილებები კომუნიკაციაში, თვითგამოხატვაში, გარე სამყაროსთან ურთიერთობაში. დიგიტალურ ტექნოლოგიას და კულტურას შორის მომხიბლავი ურთიერთობა გვიჩვენებს, თუ როგორ გავლენას ახდენენ ისინი ერთმანეთზე. ციფრულ ეპოქაში ნავიგაციისას სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ტექნოლოგია და კულტურა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული, რაც ქმნის ჩვენი „გლობალური საზოგადოების“ არსს. ინტერნეტის გარიჟრაჟიდან სოციალური მედიის, ვირტუალური რეალობის და ხელოვნური ინტელექტის გაჩენამდე თითოეულმა ტექნოლოგიურმა ნახტომმა წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი კულტურული გობელენის ქსოვილზე.

ტექნოლოგიების გავლენა ვრცელდება ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტზე, სამსახურიდან და სახლიდან კულტურულ ღონისძიებებამდე, განათლებამდე, სპორტზე, ტურიზმზე, ჯანდაცვასა და სამეცნიერო კვლევებზე. ჩვენ ვცხოვრობთ სპეციალურად სტრუქტურირებულ ტექნიკურ გარემოში, რომელიც თანაარსებობს, როგორც შედარებით დამოუკიდებელი „მესამე სამყარო“ ინტერპერსონალურ და ბუნებრივ სფეროებთან ერთად. ტექნოლოგიური პროგრესი საზოგადოების წარმატების გარანტიაა და უმთავრეს

როლს ასრულებს ადამიანის საწარმოო ძალებსა და კულტურის განვითარებაში.¹

სამეცნიერო ტექნიკურმა პროგრესმა შექმნა თანამედროვე ტექნოგენური ცივილიზაცია, რამაც უპრეცედენტო გავლენა იქონია ზოგადად კულტურაზე, ყველა ტიპის ტრადიციულ ხელოვნებაზე. მან წარმოშვა კულტურის ახალი სივრცე და ხელოვნების უახლესი სახეობები, რომლებიც ჩამოყალიბებულია მხოლოდ ტექნოლოგიურ საფუძველზე.²

ინდოეთის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის წარმომადგენელი, ტამილნადუს უნივერსიტეტის მეცნიერი ერ რაჯა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ტექნოლოგია ღმერთის საჩუქარია. სიცოცხლის შემდეგ, ეს არის, ალბათ, ყველაზე დიდი ღვთიური ძღვენი. იგი არის ცივილიზაციების, ხელოვნების და მეცნიერების დედა“.³ რაჯას პოზიტიური შეხედულება ტექნოლოგიაზე, რომელიც ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას, როგორც ერთ-ერთ უდიდეს საჩუქარს, გვაფიქრებინებს, რომ ისტორიის მანძილზე ტექნოლოგიამ ინსტრუმენტული როლი ითამაშა კაცობრიობის პროგრესის და წინსვლის ფორმირებაში.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, კულტურის სხვადასხვა სფეროში მათი ინტეგრაცია, არის ტრანსფორმაციული მოგზაურობა მრავალი მნიშვნელოვანი ეტაპით და გამოგონებით: კომპიუტერი, ინტერნეტი, ციფრული მედია და გართობა, სოციალური მედია, სმარტფონები და მობილური ტექნოლოგია, გართობის დიგიტალიზაცია, ვირტუალური და გაძლიერებული რეალობა, ხელოვნური ინტელექტი.

ტექნოგენური ცივილიზაციის წარმატებამ, რომელიც განპირობებულია უწყვეტი ტექნიკური და ტექნოლოგიური ინოვაციებით, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ადამიანის ცხოვრების ხარისხი. აქედან ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ ეს არის კაცობრიობის განვითარების მთავარი გზა. ტექნოლოგიური წინსვლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პროგრესის და განვითარებისთვის, მაგრამ გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის ზემოქმედებას გარემოსა და

¹ Wolffgramm H., Allgemeine techniklehre elemente, strukturen, gesetzmässigkeiten, 2012.

² Ванслов В., Научно-технический прогресс и культура, Культура и искусство, 6(12) 2012.

³ https://www.researchgate.net/publication/325086709_Impact_of_modern_technology_in_education 2018.

საზოგადოებაზე გონივრული/მდგრადი პერსპექტივით. მაგალითად, ამერიკელი მწერალი და პოსტმოდერნისტი დონ დელილო ამბობს, რომ „ტექნოლოგიის მთელი აზრი არის ის, რომ, ერთი მხრივ, იგი აღძრავს უკვდავების მადას, მეორე მხრივ, უნივერსალური განადგურებით იმუქრება“.⁴ ამ საინტერესო მოსაზრების შემდეგ ის აგრძელებს – „ტექნოლოგია ბუნებისგან განყენებული ვნებაა“.⁵ ძნელია, არ დაეთანხმო ავტორს, რომელიც ზუსტად გამოხატავს ტექნოლოგიის ორმაგ ბუნებას და მის ღრმა გავლენას კაცობრიობაზე.

თუ დელილოს აზრს გავაგრძელებთ, უნდა ითქვას, რომ ერთი მხრივ, ტექნოლოგიური გარღვევა ხშირად იწვევს შიშს და გაცეხას. ეს გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ შეგვიძლია მივალწიოთ შედეგებს, რომლებიც ოდესღაც შეუძლებლად მიაჩნდათ და ეს აღძრავს ადამიანის მადას უკვდავებისკენ. მეორე მხრივ, ტექნოლოგიას გააჩნია განადგურების პოტენციალი. ბირთვული იარაღი და გარემოს დეგრადაცია სერიოზულ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანებს, არამედ მთლიანად პლანეტას. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, ტექნოლოგია შეიძლება, იყოს პროგრესის და პოზიტიური ცვლილებების ძლიერი ძალა, მაგრამ ის, ასევე, მოითხოვს პასუხისმგებლობიან და გააზრებულ გამოყენებას მისი პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად.

ციფრული ტექნოლოგია, ამჟამინდელი გაგებით, ყველაზე მარტივად განიხილება, როგორც სამი კომპონენტის ერთობლიობა: არტეფაქტები, პრაქტიკა და ცოდნა. მსოფლიოში არსებული მატერიალური ობიექტები არტეფაქტებია. პრაქტიკა არის მეთოდები და ტექნიკა, რომლებიც გამოიყენება არტეფაქტებთან ურთიერთობისთვის, ხოლო ცოდნა ფუძემდებლური თეორიულ/კონცეფციური პარადიგმაა, რომლებიც გავლენას ახდენენ ტექნოლოგიაზე სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში.⁶ ტექნოლოგიის ეს სამი კომპონენტი ურთიერთკავშირშია და ზემოქმედებს ერთმანეთზე. ტექნოლოგიური არტეფაქტები არსებული ცოდნის საფუძველზე ყალიბდება. ამავდროულად, ამ არტეფაქტების გამოყენების პრაქტიკა გავლენას ახდენს მათ ინტეგრირებაზე ყოველდღიურ ცხოვრებაში და საზოგადოებაში. გარდა ამისა, ტექნოლოგიების გამო-

⁴ [https://delillosociety.com /arch ive/newsletter-10-1-2017/](https://delillosociety.com/arch ive/newsletter-10-1-2017/) 2017.

⁵ იქვე.

⁶ Fouche, R. D. *Technology Studies (Key Issues for the 21st Century)* 2008.

ყენების გამოცდილება არის ტექნოლოგიური წინსვლის და ცოდნის დაგროვების საწინდარი. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ტექნოლოგია არ არის ნეიტრალური ძალა, ის ასახავს იმ საზოგადოებების ღირებულებებს, პრიორიტეტებს და კულტურულ კონტექსტს, რომელშიც ის ვითარდება/გამოიყენება. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა კულტურას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული ტექნოლოგიური პრაქტიკა და ცოდნის სისტემები, მაშინაც კი, როდესაც საქმე ეხება მსგავს არტეფაქტებს. რაც შეეხება ტექნოლოგიის მუდმივად განვითარებად ბუნებას, ის აუცილებლად უზრუნველყოფს, რომ მისი გავლენა კულტურაზე იყოს უწყვეტად შესწავლის და დაკვირვების მომხიბლავი სფერო.

სხვადასხვა სფეროზე ტექნოლოგიის გავლენის კვლევა ეხმარება მკვლევრებს, უკეთ გაიგონ, თუ როგორ აყალიბებს ტექნოლოგია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას, დამოკიდებულებებს და ღირებულებებს. ამ შედეგების გაგებამ კი შეიძლება, ხელი შეუწყოს ტექნოლოგიების პასუხისმგებლობიან განვითარებას და დანერგვას. ვებ და მობილური აპლიკაციების შემქმნელი ნიგერიელი ედეჰ სამუელ ჩუკვუმეკას აზრით, „ტექნოლოგია განსაზღვრავს კულტურული ევოლუციის გზას, რადგან ის გავლენას ახდენს კულტურის ყველა ასპექტზე. ტექნოლოგია ჰარმონიაში უნდა იყოს საზოგადოების სოციალურ და კულტურულ პირობებთან, რათა დაიკავოს უფრო დიდი კულტურული განზომილება...“.⁷ ეს მოსაზრება ხაზს უსვამს კულტურული სენსიტიურობის და კონტექსტური ცნობიერების მნიშვნელობას ტექნოლოგიის განვითარებასა და განხორციელებაში. მნიშვნელოვანია, ნოვატორებმა გაიაზრონ საკუთარი შემოქმედების კულტურული შედეგები, რათა ტექნოლოგიებმა ძირი კი არ გამოუთხარონ იმ თემების კულტურულ ქსოვილს, რომლებსაც ემსახურებიან, არამედ გააძლიერონ ისინი.

2023 წლის თებერვალში ჩვენ მიერ გამოკითხვის მეთოდით დაიგეგმა და განხორციელდა საზოგადოებრივი აზრის კვლევა თემაზე „ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობების გავლენა საზოგადოებაზე“. შედეგები, რომლებიც მივიღეთ, მეტად საინტერესო აღმოჩნდა. გამოკითხულთა 87% სრულად, ხოლო 12,5% ნაწილობრივ ეთანხმება მოსაზრებას, რომ თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიური სამყაროს ეკოსისტემა, რომელიც გვთავაზობს ჰიბრი-

⁷ <https://bscholarly.com/impact-of-technology-on-culture-tradition-and-social-values/> 2022.

დულ, ინოვაციურ ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას, მოქნილ გარემოს, ხელმისაწვდომობას და სერვისების მრავალფეროვნებას, სწავლის და მუშაობის ახალ გზებს, არის მეტად მნიშვნელოვანი. რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის თანამედროვე ტექნოლოგიები კულტურული ევოლუციის საწინდარი და სისტემური სიახლეების მომტანია.

ციფრული განათლება გადამწყვეტ როლს ასრულებს უნარების სწავლებაში, საინფორმაციო ნავიგაციასა და ინტერპრეტაციაში. ინფორმაციის მოძიებისას რაც უფრო მეტად ვეყრდნობით ციფრულ პლატფორმებს, მით უფრო მნიშვნელოვანია მედიაწიგნიერების და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობა. თანამედროვე ეპოქაში ცოდნის შექმნის გზები მუდმივად ვითარდება, რაც ხელს უწყობს უფრო ჯანსაღი ციფრული საინფორმაციო გარემოს და მეტად ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

თანამედროვე რეალობაში ტექნოლოგიურ პროცესებში მნიშვნელოვანი ადგილი აუდიოვიზუალურ ტექნოლოგიებს უჭირავთ. COVID-19 პანდემიის დროს სწორედ ეკრანული შემოქმედება გახდა კომუნიკაციის, ადამიანური ურთიერთობების, თანამედროვე ცივილიზაციის ფლაგმანი. იზოლაციის პერიოდში აუდიოვიზუალურმა კულტურამ ბევრი ნოვატორული გამოგონება წარმოგვიდგინა და მრავალი ფუნქცია შეითავსა და იქცა სასწავლო პლატფორმად.⁸ ჩვენი კვლევის შედეგად, გამოკითხულთა 95,9% აფიქსირებს მოსაზრებას, რომ თანამედროვე სამყაროში ეკრანი გახდა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, რომელიც მუდმივად აკონტროლებს საზოგადოების „ქცევის წესს“. მათ ასევე აღნიშნეს, რომ აუდიოვიზუალური ტექნოლოგიები მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესებისათვის. შესაბამისად, ახალი პლატფორმები ცოდნის მსოფლიოს საუკეთესო სასწავლო დაწესებულებებში მიღების საშუალებას იძლევა.

ციფრულმა ტექნოლოგიამ საგრძნობლად დააჩქარა ინფორმაციის და სიახლეების გავრცელება. თუმცა ამას როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები აქვს, სასწრაფო რეაგირების ხელშეწყობიდან, დეზინფორმაციის პოტენციურ გავრცელებამდე.

ციფრული ტექნოლოგია ინფორმაციის სწრაფად და ეფექტურად გავრცელების საშუალებას იძლევა. შესაძლებლობას გვაძ-

⁸ ჭანტურია თ., ეკრანული კულტურა – თანამედროვე ცივილიზაციის ფლაგმანი, სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი #2 (92), 2023.

ლევს, განახლებული გლობალური მოვლენების, ახალი ამბების და საგანგებო სიტუაციებისას ვიყოთ რეალურ დროში. ხელს უწყობს ცოდნის/გამოცდილების გაზიარებას სხვადასხვა სფეროში და კულტურაში. ინტერნეტის და ციფრული პლატფორმების წყალობით ადამიანებს უფრო დიდი წვდომა აქვთ ინფორმაციაზე, რაც ეხმარება მათ მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის გავრცელების სიჩქარემ ასევე შეიძლება გამოიწვიოს დეზინფორმაციის და ყალბი ამბების ვირუსულად სწრაფი გავრცელება, რაც სავალალო შედეგის მომტანია. ასევე, ინფორმაციის სწრაფი გაცვლა იწვევს კონფიდენციალურ შეშფოთებას, ვინაიდან პერსონალური მონაცემების გაზიარება და გამოყენება თანხმობის გარეშე შესაძლებელია. ამიტომ მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, რომ ციფრულ ეპოქაში ჯანსაღი, საინფორმაციო ეკოსისტემის შესანარჩუნებლად აუცილებელია პასუხისმგებელი ციფრული პოლიტიკის შექმნა და მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა.

ციფრული ტექნოლოგიის, როგორც კულტურის ფორმის, შესწავლამ პოტენციური პრობლემების ფართო სპექტრის წინაშე დაგვაყენა:

- **ციფრული განხეთქილება** – არათანაბარი წვდომა ინტერნეტსა და ციფრულ ტექნოლოგიებზე ქმნის ციფრულ უფსკრულს, რაც იწვევს უთანასწორობის განცდას.
- **კიბერუსაფრთხოება და კონფიდენციალურობა** – ციფრული ტექნოლოგიების ფართო გამოყენება ქმნის მონაცემთა კონფიდენციალურობის და კიბერუსაფრთხოების რისკებს.
- **დეზინფორმაცია** – ციფრული პლატფორმებით ინფორმაციის გაცემის სისწრაფემ შეიძლება განაპირობოს ყალბი ინფორმაციის მასობრივ გავრცელება.
- **ციფრული დამოკიდებულება** – ციფრული მოწყობილობების და სოციალური მედიის გადაჭარბებული გამოყენება იწვევს ციფრულ დამოკიდებულებას და უარყოფითად მოქმედებს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.
- **პირისპირი კომუნიკაციის ეროზია** – ციფრული კომუნიკაციის გავრცელებამ შეიძლება გამოიწვიოს პირისპირი ურთიერთობის დაქვეითება, რაც გავლენას მოახდენს ურთიერთობების ხარისხსა და სოციალურ უნარებზე.
- **ეთიკური დილემები** – ციფრული ტექნოლოგია ბადებს ეთიკურ

კითხვებს, რომლებიც დაკავშირებულია მონაცემთა შეგროვებასთან, ხელოვნურ ინტელექტთან და ავტომატიზაციასთან, ალგორითმულ მიკერძოებასთან და ისეთი განვითარებადი ტექნოლოგიების ეთიკურ გამოყენებასთან, როგორცაა სახის ამოცნობა.

- **გარემოზე ზემოქმედება** – ციფრული ტექნოლოგიების და მონაცემთა ცენტრების სწრაფი ზრდა ხელს უწყობს ენერჯის მოხმარებას და ელექტრონული ნარჩენების მატებას, რაც იწვევს გარემოსდაცვით პრობლემებს.

ამ საკითხების გააზრებული და ერთობლივი განხილვით, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ციფრული ტექნოლოგიების პოტენციალი, როგორც პოზიტიური კულტურული ძალა, ხოლო შევამციროთ მათი უარყოფითი ზემოქმედება ადამიანებზე, საზოგადოებასა და გარემოზე.

დასასრულს შეგვიძლია ვთქვათ, ციფრული ტექნოლოგიების გავლენა მრავალმხრივია და მუდმივად ვითარდება. ის ცვლის ჩვენს კულტურულ ლანდშაფტს, ზემოქმედებს სოციალურ დინამიკაზე, ხელახლა განსაზღვრავს ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში ჩვენი ურთიერთობის და კომუნიკაციის გზას. ამ ცვლილებების პასუხისმგებლობით მიღება და ციფრული ტექნოლოგიების პოტენციალის გამოყენება გამოიწვევს უფრო ინკლუზიური, ინფორმირებული და ინოვაციური გლობალური საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ბიბლიოგრაფია:

- ჭანტურია თ., ეკრანული კულტურა – თანამედროვე ცივილიზაციის ფლაგმანი, სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი #2 (92), თბ., 2023.
- Anderson, J.Q., *Imagining the Internet: Personalities, Predictions, Perspectives*, 2005, <https://www.elon.edu/u/imagining/time-capsule/150-years/back-1920-1960>
- Banse, G., Grunwald, A. *Technik und Kultur, Bedingungs und Beeinflussungsverhältnisse*, KIT Scientific Publishing, 2019
- Bates, A. *Teaching in A Digital Age: Guidelines for designing teaching and learning*. A.W. (Tony) Bates, University of British Columbia, 2019.

- Chukwuemeka, S. Impact of Technology on Culture, Tradition and Social Values, 2022, <https://bscholarly.com/impact-of-technology-on-culture-tradition-and-social-values/>
- Dessauer, F. Streit Um Die Technik. Josef Knecht; 2. Aufl. Edition, 1958.
- Erdurmazli E, Effects of Information Technologies on Organizational Culture: A Discussion Based on the Key Role of Organizational Structure, 2020, <https://www.intechopen.com/chapters/72534>
- Fouche, R. D., Technology Studies (Key Issues for the 21st Century) SAGE Publications, 2008.
- From the President In the Ruins of the Present: Don DeLillo and the Age of Social Media, Newsletter 10.1., 2017, <https://delillosociety.com/archive/newsletter-10-1-2017/>
- Raja, R., Nagasubramani, P.C. Impact of modern technology in education, 2018, https://www.researchgate.net/publication/325086709_Impact_of_modern_technology_in_education
- Wolffgramm, H., Allgemeine techniklehre elemente, strukturen, gesetzmässigkeiten. Copyright by Horst Wolffgramm, 2012
- Ванслов, В. Научно-технический Прогресс и Культура, Культура и Искусство, 6(12), 2012.

MEDIA STUDIES

Tea Chanturia,
Doctor of Shota Rustaveli Theatre And Film Georgia State
University
Scientific supervisor – Professor Sandro Vakhtangov

DIGITAL TECHNOLOGY AS A FORM OF CULTURE

*Keywords: digitalization, technology, culture, digital communication
mediums*

Abstract

This study explores the convergence of digital technology and culture, examining the widespread adoption of digital technologies and their multifaceted impact on our lives. The research objective is to enhance our comprehension of the intricate interplay between digital technologies and culture. This endeavor addresses several pertinent dimensions:

Global Impact: Digital technology has seamlessly integrated into our existence, encompassing gadgets, social networks, and applications, functioning as vital communication tools.

Social and Cultural Influence: The evolution of digital communication platforms has profoundly shaped social dynamics and cultural conventions. This influence extends to cultural diversity, identity formation, and the dissemination of ideas.

Expedited Information Dissemination: Digital technology has accelerated the dissemination of information, yielding both favorable outcomes such as efficient emergency response systems, and drawbacks including the potential propagation of misinformation.

Global Connectivity: Through the Internet and digital communication, an unparalleled global interconnectedness has emerged.

Digital Education: Navigating and interpreting information adeptly is paramount in the digital age. Effective programs empower

individuals to make informed decisions.

Addressing Challenges: This research confronts several potential challenges, including the digital divide, privacy and security concerns, disinformation proliferation, ethical quandaries, erosion of face-to-face communication, environmental implications, and more.

Conclusion: Digital technologies exert a profound influence across personal and professional domains, shaping culture, society, and interpersonal relationships.

Bibliography:

- ჭანტურია თ., ეკრანული კულტურა – თანამედროვე ცივილიზაციის ფლაგმანი, სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი #2 (92), თბ., 2023.
- Anderson, J.Q., *Imagining the Internet: Personalities, Predictions, Perspectives*, 2005, <https://www.elon.edu/u/imagining/time-capsule/150-years/back-1920-1960>.
- Banse, G., Grunwald, A. *Technik und Kultur, Bedingungen und Beeinflussungsverhältnisse*, KIT Scientific Publishing, 2019.
- Bates, A. *Teaching in A Digital Age: Guidelines for designing teaching and learning*. A.W. (Tony) Bates, University of British Columbia, 2019.
- Chukwuemeka, S. *Impact of Technology on Culture, Tradition and Social Values*, 2022, <https://bscholarly.com/impact-of-technology-on-culture-tradition-and-social-values/>
- Dessauer, F. *Streit Um Die Technik*. Josef Knecht; 2. Aufl. Edition, 1958.
- Erdurmazli E, *Effects of Information Technologies on Organizational Culture: A Discussion Based on the Key Role of Organizational Structure*, 2020, <https://www.intechopen.com/chapters/72534>
- Fouche, R. D., *Technology Studies (Key Issues for the 21st Century)* SAGE Publications, 2008.